პოზიციის დოკუმენტი

პოზიციის დოკუმენტები

ოქტომბერი

2024 წელი

დოკუმენტის შესახებ

2023 წლის ოქტომბრიდან **გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს** (BMZ) დაფინანსებით, ასოციაცია **ნატურლანდმა** (Naturland) დაიწყო პროექტის „KVP საქართველო“ განხორციელება, რომლის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ქვეყანაში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების დანერგვას, რაც მომავალში, სოფლებში სტაბილურ დასაქმებას და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას უნდა მოემსახუროს.

პროექტის მესვეურებისა და ქართველი პარტნიორების ერთობლივი გადაწყვეტილებით, პროექტი რამდენიმე ფაზად დაიყო, რომლის ერთ-ერთ ნაწილს წინამდებარე სამი პოზიციის დოკუმენტი წარმოადგენს

პროექტის პირველი ფაზაში შეიქმნა საგანმანათლებლო კურსი, რომელიც შემდეგ მიმართულებებად დაიყო: ორგანული სოფლის მეურნეობა და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპები; ქართული ჩაი; ქართული ღვინო; ორგანული სოფლის მეურნეობა და მცირე საოჯახო მეურნეობები. პროექტის მეორე ეტაპი ითვალისწინებდა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობისთვის პოზიციის დოკუმენტების შექმნას, რომელიც ადგილობრივი ორგანიზაციის ექსპერტების ჩართულობით უნდა შექმნილიყო. წარდგენის ვადად განისაზღვრა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი.

პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ

პოზიციის დოკუმენტის შექმნისთვის, კომპეტენციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეირჩა შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციები:

საერთაშორისო ალიანსი მდგრადი კავკასია (SCIA) - დაარსდა 2023 წელს და წარმოადგენს სოფლის განვითარებისა და მდგრადობის კომპეტენციის ცენტრს, რომელიც ემსახურება საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი რესურსების, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ფოკუსით შემდეგ სამ კომპონენტზე: 1. ორგანული სოფლის მეურნეობა, წარმოება და გადამუშავება; 2. ენერგოეფექტური მშენებლობა, წყლის რესურსით ეფექტური სარგებლობა;3. მწვანე ეკონომიკა, ორგანიზაციული განვითარება, განათლება, საერთაშორისო ურთიერთობები, სოფლის განვითარება.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა - ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლიდან მუშაობს საქართველოში ბიო-წარმოებისა და აგრო-ეკოლოგიის განვითარების, აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ენდემური და ადგილობრივი გენოფონდის დაცვის საკითხებზე. დღეისათვის ასოციაცია 458 წევრს

აერთიანებს, რომელთა შორის არიან როგორც ინდივიდუალური აგროეკოლოგიური მწარმოებლები, ასევე, იურიდიული პირები - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფერმერთა ასოციაციები, მცირე საწარმოები და სხვ. ამ გზით ასოციაცია „ელკანა“ პირდაპირ ან არაპირდაპირ 2,500-მდე მეურნეს ემსახურება საქართველოს მასშტაბით.

ფერმერ ქალთა ასოციაცია (WFA) – ორგანიზაცია 2013 წელს დაარსდა კახეთში, რომლის მთავარ მისიას წარმოადგენს გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ფერმერი ქალების ინფორმირება, ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება, მათი უფლებების დაცვა და ადვოკატირება. ასოციაციის სამიზნე ჯგუფებია: სოფლად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში ჩართული ქალები და ახალგაზრდები. ორგანიზაციის სლოგანია: *„ძლიერი ფერმერი, ძლიერი სოფელი, ჯანმრთელი მომავალი თაობა“*

ასოციაცია ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და აერთიანებს 300-ზე მეტ ფერმერ ქალს.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) აერთიანებს 5000-ზე მეტ ფერმერს, ფერმერთა ჯგუფებს, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ასოციაციებს. ორგანიზაციის მიზანი და ხედვაა ფერმერთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობით გაზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა ქვეყანაში, ასოციაციის ძირითადი საქმიანობა ეფუძნება ფერმერთა ადვოკატირებას, შესაძლებლობების განვითარებას და კავშირების დამყარებას ფერმერების და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სექტორების გასაძლიერებლად.

სამადლობელი

დოკუმენტის მომზადებაში ხელშეწყობისთვის, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, თანადგომისთვის, ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის, პარტნიორი ორგანიზაციები მადლობას ვუხდით ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ასოციაცია ნატურლანდს, რომლის მისიას წარმოადგენს მსოფლიოში ეკოლოგიური, მდგრადი და სამართლიანი სასოფლო სამეურნეო პრინციპების გავრცელებასა და დანერგვაზე ზრუნვა. ორგანიზაცის გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო ბიოსერტიფიცირების ბაზარზე, დღეისთვის, მისი ნიშანდებით 62 ქვეყნის 100 000-ზე მეტი ოპერატორი სარგებლობს.

ამასთან, მადლობას ვუხდით პოზიციის დოკუმენტების მომზადებაში ჩართულ ექსპერტებს: ირინე ფხოველიშვილს, ია ებრალიძეს, ელისაბედ ხმიადაშვილს, თამარ ფხაკაძეს, თეკლა ზაკალაშვილს და კოორდინატორებს: თამაზ დუნდუას და თამარ ფხაკაძეს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სამივე ჯგუფის მუშაობის ორგანიზებაში.

პოზიციის დოკუმენტი

პოზიციის დოკუმენტები

1. ორგანული სექტორის განვითარების ხელშეწყობა სამართლიანი ვაჭრობის კომპონენტით

*პოზიციის დოკუმენტი შემუშავებულია ნატურლანდის მხარდაჭერით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ: **ია ებრალიძე** - ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, **ელისაბედ ხმიადაშვილი** -მდგრადი კავკასია, **ირინე ფხოველიშვილი** - ფერმერ ქალთა ასოციაცია*

მივესალმებით საქართველოს მთავრობის მიერ „ბიოწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამისა“ და „ორგანული (ბიო, ეკოლოგიური) წარმოების წესებისა და ორგანული (ბიო, ეკოლოგიური) პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებას, რაც საქართველოში ბიოწარმოების სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს.

შესავალი

მივიჩნევთ, რომ ბიო/ორგანულ და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპებზე დაფუძნებულ სოფლის მეურნეობას შეუძლია, აგროსასურსათო სექტორი მნიშვნელოვნად გააჯანსაღოს და მის უფრო სამართლიან და მდგრად სისტემად ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. თანამედროვე მსოფლიო კრიზისები, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, პანდემია და ომები, აგრარულ სექტორში დასაქმებულთა უფლებები, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - ბიო და სამართლიანი ვაჭრობის სასურსათო სისტემაზე გადასვლის გადაუდებელ საჭიროებას ქმნიან. ამასთანავე, მრავალფეროვანი აგროეკოსისტემებისა და მდიდარი აგრარული ტრადიციების გამო, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კონკურენტული უპირატესობა მაღალი ხარისხის, ბიო-პროდუქტების წარმოებას უკავშირდება.

დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფმა გავითვალისწინეთ რა ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობის სფეროში მოწინავე ქვეყნების სტრატეგიები და სფეროს ოპტიმირებისათვის შექმნილი პოზიციის დოკუმენტები და შესაბამისი მიდგომები და ასევე გავეცანით მათი წარმატების ძირითად საფუძვლებს, შევეცადეთ ჩვენი კომპეტენციისა და გამოცდილების ფარგლებში მოგვეხდინა ამ მიდგომებისა და პრინციპების ადაპტაცია ქართულ რეალობასთან და ამის საფუძველზე შეგვექმნა წინამდებარე პოზიციის დოკუმენტი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებას.

გამოწვევები საქართველოში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის სფეროში

გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც აფერხებენ ბიოწარმოების განვითარებას საქართველოში:

- ქვეყნის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მდგრად განვითარებაზე დიდი გავლენის მიუხედავად, ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს მცირე ადგილი უკავია „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027“-სა

და შესაბამის სამოქმედო გეგმაში. არ არსებობს განყენებულად ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი. ეს ფაქტორი არ იძლევა დარგის განვითარებისათვის აუცილებელი ქმედებების ერთობლიობის სრული სურათის და საჭიროებების დეტალურად განხილვის საშუალებას, რის გამოც გატარებული ღონისძიებები არასაკმარისად ეფექტური და არამდგრადია;

- ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები, როგორიც არის: კონვერსიაზე მყოფი ან/და ბიო-სერტიფიცირებული ფართობები და წარმოებული ბიო პროდუქტები, ისევე როგორც არ არის სტატისტიკური მონაცემები მათი მიმოქცევის შესახებ შიდა ბაზარსა თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ექსპორტი, იმპორტი), რის გამოც შეუძლებელია სფეროს განვითარების რეალური შეფასება;
- ბიოწარმოების ხელშეწყობის არსებული სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს მეურნეთა იმ საჭიროებებს, რომლებიც ბიო წარმოებაზე გადასვლას უკავშირდებიან. პროგრამა არ მოიცავს ყველა დარგს თანაბრად, არ მოიცავს ჯგუფურ სერტიფიცირებას, პროგრამით სერტიფიცირების ხარჯები არ ანაზღაურდება პირველი სერტიფიკატის მიღების შემდეგ.
- ფერმერებსა და ზოგადად საზოგადოებაში ჯერ კიდევ დაბალია ცნობიერება და ინტერესი ბიოწარმოების მნიშვნელობის სამართლიანი ვაჭრობის შესახებ.
- ორგანული სოფლის მეურნების სექტორში კვალიფიციური კონსულტანტების ნაკლებობა და პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, მეთოდოლოგიური კვლევების სიმწირე.
- საქართველოში პესტიციდების და აგროქიმიკატების მართვის სისტემა როგორც კონვენციულ ასევე ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობაში, არ შეესაბამება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას.
- ბიოპროდუქციის სუსტად განვითარებული ბაზარი და ბიო ნიშანდების სტანდარტის არასათანადო კონტროლი.
- ბიო მეურნეობასა და ბიო წარმოებაში გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებებისა და სახარჯი მასალებების (თესლი, ჩითილი, ნერგი, ცვილი და ა.შ) ხელმისაწვდომობა არ არის უზრუნველყოფილი. მწირია სპეციფიკური და სავალდებულო ლაბორატორიული კვლევების ჩატარების შესაძლებლობა ქვეყნის შიგნით.

რეკომენდაციები საქართველოში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებისათვის

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნატურლანდი და პროექტი „KVP საქართველოს“ ექსპერტთა გუნდი მოგმართავთ თხოვნით, პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარების პროგრამების შედგენა-განხორციელებისას, გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

- ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის შესაბამისად და წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, განყენებულად შეიქმნას საქართველოში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით იქნება აღწერილი სფეროს განვითარების მიზნები და პრიორიტეტები, აისახება ქვემოთ განხილული რეკომენდაციები და შესაბამის სამოქმედო გეგმაში მოხდეს მათი განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გათვალისწინება, ან შევიდეს შესაბამისი ცვლილებები „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027“ -სა და შესაბამის სამოქმედო გეგმაში. ეს იქნება სახელმწიფოს მიერ ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის სტრატეგიულობის ხაზგასმა და მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორი კონკრეტული სტრატეგიული მიზნების დასახვასა და განხორციელებისათვის.

- სფეროს განვითარების დაგეგმვისა და შეფასებისათვის, აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ინდიკატორები, კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების სახით. შესაბამისად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ უნდა მოხდეს ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისათვის სპეციფიკური, ზუსტი და დეტალური მონაცემების შეგროვება, რაც საშუალებას მოგვცემს ობიექტურად განვსაზღვროთ სტრატეგიის მიხედვით დასახული მიზნის შესრულების ხარისხი;

- მნიშვნელოვანია ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის კომპონენტი მეტად მოერგოს ფერმერისა და მწარმოებლის საჭიროებებს, მან უნდა მოიცვას ყველა დარგი თანაბრად და ჯგუფური სერთიფიცირების კომპონენტი, ასევე უნდა მოიცვას სერტიფიცირების ხარჯების დაფარვა გარკვეული პერიოდით, პირველი სერთიფიკატის აღების შემდგომაც. ეს საშუალებას მისცემს ფერმერებს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის საფუძველზე მიიღოს გააზრებული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ბიო მეურნეობაზე გადასვლის შესახებ;

- აუცილებელია ფერმერის და ზოგადად საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბიო წარმოებისა და ბიო პროდუქციის მნიშვნელობაზე, როგორც გარემოსა და ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი შენარჩუნების მიმართულებით, ასევე ადამიანის ჯანმრთელობისათვის; ცნობიერების ამაღლება ერთის მხრივ ხელს შეუწყობს სფეროს შესახებ ზოგადი ცოდნის ამაღლებას და ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ბაზარზე შესაბამის ბიო პროდუქტებზე მოთხოვნის გასაზრდელად.

- პროფესიული კადრებისა და კონსულტანტებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის გაზრდა და ამ სფეროში მეთოდოლოგიური კვლევების ხელშეწყობა დადებითად იმოქმედებს დარგის განვითარებასა და მასში დასაქმებული ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე;

- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების იმპორტის, რეგისტრაციისა და გამოყენების მართვის სისტემა მეტად უნდა მოერგოს საქართველოს რეალობას და გათვალისწინებულ იქნას

საუკეთესო ევროპული პრაქტიკა, რათა არ მოხდეს ბიო მეურნეობის კრიტიკული ნივთიერებებით დაბინძურება;

- სახელმწიფომ გაითვალისწინოს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, სადაც ბიო მეურნეებს განსაკუთრებულ დახმარებას უწევენ პროდუქციის რეალიზაციის პროცესში (ბიო-ბაზრობები, ხელშეწყობა ქსელურ მარკეტებში ...). შესაბამისად თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ბიო-ბაზრობების ჩატარებისათვის შესაბამისი ადგილების გამოყოფა და მათი ტექნიკური აღჭურვა. ასევე უნდა გამკაცრდეს ბიო პროდუქტების ნიშანდების კონტროლი. ხელი შეეწყოს ბიო მეურნეებსა და მწარმოებლებს საერთაშორისო დარგობრივ გამოფენებში მონაწილეობაში;
- ბიო-მეურნეობისა და ბიო-პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების (სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, მანქანა-დანადგარები), სახარჯი მასალების (სათესლე, საჩითილე მასალა, ცხოველების კვებისა და სამკურნალო საშუალებები, ცვილი და ა.შ) და ტექნოლოგიების, ადაპტაციის, წარმოებისა და იმპორტის ხელშეწყობა, შესაბამისი სერვისების ჩამოყალიბება (ლაბორატორიები) და გაძლიერება, მნიშვნელოვნად დაუზოგავდა მეურნე/მეწარმეებს წარმოებისათვის საჭირო რესურსს და უზრუნველყოფს მათ მდგრად განვითარებას.

დასკვნა

ერთის მხრივ ქვეყნისა და ეკოსისტემის მდგრად განვითარებაში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე და მეორეს მხრივ ამ სფეროში არსებული გამოწვევების შესაბამისად, პროექტში ჩართული ადგილობრივი ორგანიზაციების ექსპერტებს მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სათანადო ყურადღებასა და მხარდაჭერას იმსახურებს, როგორც სახელმწიფოს ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რათა დროულად მოხდეს მათი გატარება, დანერგვა და ინტეგრაცია სოფლის მეურნეობასა თუ სხვა სტრუქტურებში. ამისათვის კი აუცილებელია ქვეყანამ ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა და ბიო წარმოება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადოს და შეიქმნას მისი განვითარების სტრატეგიული გეგმა, შესაბამისი სტარეგიული მიზნების განსაზღვრით.

შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენი გუნდი, გამოცდილებაზე, ცოდნასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, მზად არის, სხვა პარტნიორ კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, შესაძლებლობის ფარგლებში წარმართოს ან/და მონაწილეობა მიიღოს რეკომენდაციების განხორციელების პროცესში.

პროექტის ფარგლებში